ოქმი:**ო05. 3726069001**
თარიღი:**10/03/2026**

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 12 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

14:00 -14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ხ. ცერცვაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, თ. ქავთარია, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაზე, ი. ჩიკაშუა, ე. გორდელაძე, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - -ოზურგეთის -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი
თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია

სხდომის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, საკითხის განხილვის დაწყებამდე კომისიის წევრებს გააცნო კომისების დამტკიცებულ პერსონალურ შემადგენლობაში შესტანი ცვლილებები, რომელსაც ცნობად მიიღებს საკრებულოს უახლოესი ბიუროს სხდომა. შემდეგ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის საკითხზე. დადგენილებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით შესატან კონკრეტულ ცვლილებებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. ჭანტურიამ. სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ სოციალურ სამსახურთან მოწესრიგდა ინფორმაციის გამოთხოვის საკითხი, აღნიშნა- დადგენილების პროექტი მომზადებულია არსებული კანონმდებლობის დაცვით და აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს-როგორც თვითმართველობის კოლეგიური ორგანოს ნორმატიულ- სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის -ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს, მიზანშეწონილია მისი წარდგენა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა- დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი